"ვიყვეთ არავისი და ვმსახურებდეთ არავის, თვინიერ დამბადებლისა."

# რესპუბლიკა

№ 1, 1990 წლის 18 თებერვალი

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკური პარტია გუშინ და დღეს

ორმეტი წლის წინათ, 1978 წლის მაისში ჩამოყალიბდა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის პირველი ერთეული-საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც შედარებით მცირე დროის განმავლობაში 1979 წლის გაზაფხულისათვის შესძლო შეექმნა ქმედითუნარიანი პოლიტიკური პარტია. დღეს შეიძლება ვინმეს დიდ დროდ მოეჩვენოს ერთი წელიწადი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისათვის, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხისათვის ცნობილია, თუ რამდენად შრომატევადი და რთული ამგვარი საქმის წარმატებით დასრულება. ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულეების გადალახვა უხდებოდათ მათ, ვინც პარტიას აყალიბებდა 1978-79 წლებში, ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სრპ-ს, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ერთ-ერთი ორგანიზაციის, ძირითადი მიზანი არსებობის ყველა ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა იყო და მისი საქმიანობა ყოველთვის ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა.

სრპ-ს შექმნა უშუალოდ მოჰყვა დღესუკვე ისტორიად ქცეულ დისიდენტურ მოძრაობას. პრესაში არაერთგზის აღნიშნულა დისიდენტური მოძრაობის მნიშვნელოვანი როლი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებაში. დისიდენტური მოძრაობა შედეგი იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე ანტიტოტალიტარული, დემოკრატიული იდეების მატარებელი თაობების გამოსვლისა და მათი საუკეთესო წარმომადგენლების მოღვაწეობისა, რაც თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა ბოლშევიზმის იდეურმა გაკოტრებამ. იდეოლოგიური ვაკუუმი, რომელიც გაჩნდა დიდი დიქტატორის სიკვდილის შემდეგ, აუცილებლად უნდა შევსებულიყო და შეივსო კიდეც ეროვნული იდეოლოგიით. აღდგა ტრადიციული ეროვნული ფასეულობები. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად სისრულით შეეხო ბოლშევიკური იმპერიის ყველა ხალხს პოლონეთიდან დაწყებული ჩრდილეთის მცირე ხალხებით დამთავრებული. ეს იყო ბრძოლა ორ შეურიგებელ იდეოლგიას-კოსმოპოლიტურ-იმპერიალისტურსა და ეროვნულს შორის, რომელიც თავდაპირველად ფარულ ფორმებში მიმდინარეობდა უპირატესად კულტურის სფეროში /ფილოსოფიაში, ისტორიაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში/ დისიდენტები/საქართველოში კერძოდ-საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფი/ერთ-ერთი პირველნი იყვნენ, რომელთაც მიმართეს ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლის ფორმას. მართალია, მათ-არ წამოუყენებიათ პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ არც მაშინ, არც ახლა არაეისათვის საიდუმლო არაა, რომ ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომელსაც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფენომენი მოჰყვა ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

ხელისუფლების მიერ დისიდენტური მოძრაობის განადგურებისა და ჰელსინკის ჯგუფის წევრთა დაპატიმრებისა და გასამართლების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბრძოლის ლეგალურმა, კონსტიტუციურმა ფორმებმა თავი ამოწურეს, გამოიკვეთა კონსპირაციულ, იატაკქვეშა მუშაობაზე გადასვლის აუცილებლობა. უნდა შექმნილიყო არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა აშკარად დაპირისპირებოდა გაბატონებულ პოლიტიკურ პარტიასა და იდეოლოგიას, პირდაპირ დააყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. ამგვარ ორგანიზაციად ჩვენ გვესახებოდა პოლიტიკური პარტია, ხოლო ანტიეროვნული, ტოტალიტარული იდეოლგიის საწინააღმდეგო იარაღად - რესპუბლიკური იდეოლგია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ცალკეული კლასებისა და ფენების მისწრაფებას დემოკრატიული საზოგადოების შექმნისათვის.

სრპ-ს ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა სასტიკი რეაქციის პერიოდს, რომელიც მეფობდა მთელს სოციალისტურ იმპერიაში და აღინიშნებოდა დისიდენტთა ტოტალური დევნით, ეროვნული კულტურის დაჩქარებული ასიმილაციის მცდელობით, ინტერვენციით ავდანეთში, სამხეთრო გადატრიალებით პოლონეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის უკიდურესი გაფუჭებით. თავისებური სიტუაცია შეიქმნა საქართველოში. საქართველოს მაშინდელ ხელისუფალთ არ აკლდათ პოლიტიკური სიტუაციის შეფასების უნარი და მოქნილობა. მათ შეძლეს დეზორგანიზაცია შეეტანათ ეროვნულ მოძრაობაში, ჩამოეშორებინათ ხალხის მასების ყურადღება პოლიტიკური საკითხებისაგან და გადაეტანათ იგი ფსევდოეროვნულ დღესასწაულებზე, კულტურისა და ისტორიის ძეგლებზე ვითომდა ზრუნვაზე და ა.შ. შეიქმნა გარკვეული ილუზია ხელისუფლების ეროვნული საქმეებით დაინტერესებისა, რაც უნდა გამხდარიყო და სამწუხაროდ, გახდა კიდეც იდეური საფუძველი ინტელიგენციისა და ხალხის მოთავრობასთან თანამშრომლობისა. სრპ-სათვის მაშინაც ცხადი იყო და დღეს უკვე აშკარაა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის „ეროვნული" მოღვაწეობის ფასი: ქართული ენა ვერ იქცა სახელმწიფო ენად, მიუხედავად კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებისა, ვერც გარეჯის მონასტერი გადაურჩა დაბომბვას და ვერც მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიდგინა კუთვნილი ადგილი საზოგადოებაში. გაჩანაგდა საქართველოს ბუნება, მდიდარი ბუნებრივი რესურსები ისე გვადნება ხელში, საქართველოს არაფერი მოხმარებია.

ყოველივე ზემოთ თქმულმა განაპირობა სრპ-ს მოწმედების ტაქტიკა: იატაკქვეშა, კონსპირაციული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მოძიება და გაერთიანება, ახალი კადრების მომზადება და რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის გამსჭვალვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეით. რას და როგორ აკეთებდა პარტია პირველი ორი ამოცანის განხორციელებისათვის, ამაზე გასაგები მიზეზების გამო თავს შევიკავებთ, მხოლოდ ერთს აღნიშნავთ, რომ ეს მუშაობა პარტიას არ შეუწყვეტია დღიდან დაარსებისა და მეტ-ნაკლები წარმატებით დღესაც თავს ართმევს ამ ამოცანას. რაც შეეხება პარტიულ პრესას, რომელიც იყო და არის ეროვნულ-რესპუბლიკური იდეოლოგიის გავრცელების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, მძლავრი საშუალება, სრპ-ს ეროვნული კომიტეტის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1979 წელს ჟურნალ „სამრეკლოს" რამდენიმე ნომრის მომზადება და გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტი წელიწადი გვაშორებს „სამრეკლოს" პირველი გამოსვლის დღეს, მასალებს, რომლებიც მასში იბეჭდებოდა, არ დაუკარგავთ აქტუალობა სრპ-სა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რადგან მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებისა ხელისუფალთა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე დღესაც იგივე პრობლემები დგას, რაც მაშინ იდგა.

1980 წლის დასაწყისში იმპერიის სპეცსამსახური კვაღში ჩაუდგა „სამრეკლოს" რედაქციას და რათა თავიდან აეცილებინა სხვა პარტიული ორგანიზაციების გამოაშკარავება, სრპ-ს ეროვნული კომიტეტი იძულებული იყო შეეწყვიტა პარტიული პრესის გამოცემა. პარტიის მოქმედების თავისუფლება შნიძვნელოვნად ეზღუდა, ხოლო ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც დახმარებისათვის მიმართა სრპ-მ, არ აღმოუჩნდა მზად, მხარში ამოდგომოდა არაღეგალურ პოლიტიკურ პარტიას. მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციის სწორი შეფასებისა და იმპერიის მომავლის ზუსტი წინასწარმეტყველებისა, პარტია კასანდრას როლში აღმოჩნდა, რადგანაც საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვისაც გარკვეულწილად მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენათა იმგვარი განვითარება, რომლის მოწმენიც დღეს გახდავართ.

მიუხედავად განუწყვეტელი მეთვალყურეობისა და დევნისა, პარტია 1983 წლის ბოლომდე აგრძელებდა საქმიანობას, რომელიც მთლიანად პარტიული ორგანიზაციების გადარჩენისა და კონსერვაციისაკენ იყო მიმართული. ამან შესაძლებელი გახადა თავიდან აგვეცილებინა ტოტალური რეპრესიები პარტიის მიმართ. პარტიისათვის მოულოდნელი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ის ლგიკური დასასრული, რაც მოყვა მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპს, პირიქით, შესაძლა, აუცილებელიც იყო პოლიტიკური პარტიისათვის მისი სიმტკიცის ისეთი გამოცდა, როგორიც სრპ-ს ელოდა.

1984 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის გასამართლებული და მსჯავრდადებული იქნა სრპ-ს ეროვნული კომიტეტის ოთხი წევრი: ვახტანგ ძაბირაძე /ვ.რვაღი/, ვახტანგ შონია /ვ.ტბელი/, ლევან ბერძენიშვილი /დ.დადიანი/ და დავით ბერძენიშვილი/ტაბახმელი/. მოგვიანებით თბილისის საქართნო რაიონის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული იქნა ეროვნული კომიტეტის კიდევ ერთი წევრი ფრიდონ ჯაჯანიძე. უშიშროების კომიტეტი ამზადებდა საქმეს ეროვნული კომიტეტის წევრის ავთანდილ ჟღერიას მიმართაც.

ეროვნული კომიტეტის წევრთა უმეტესობის დაპატიმრებამ ფაქტიურად გაწყვიტა შეზღუდული კონსპირაციული კავშირები პარტიაში, შეწყდა პირველადი ორგანიზაციების ფუნქციონირება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტრც ერთი მათგანს არ შეხებია რეპრესიები, არც ერთი მათგანი არ აღმოჩენილა უშიშროების კომიტეტის ყურადღების არეში, რაც 1980-83 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგი გახლდათ.

1987-88 წლებში კვლავ დადგა დღის წესრიგში პარტიის ტაქტიკასა და მის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები. ერთი შეხედვით სრპ-ს არ უნდა გასჭირვებოდა მთელი ძალით ამოქმედება და სხვა, ახლადშექმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე ადრე გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე. შეიძლება არასწორად მოგეჩვენოს სრპ-ს ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება, არ ეჩქარა იატაკქვეშეთიდან გამოყვანა და სპეციალური პროგრამით გაეგრძელებინა თავისი მუშაობა, მაგრამ იყო რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც გვაიძულებდნენ მიგვეღო სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება, რომელთაგან ზოგიერთი აქვე შეიძლება აღინიშნოს:

1. სრპ გახლდათ ერთადერთი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის არსებობა ფაქტიურად აღიარა ხელისუფლებამ უმაღლესი სასამართლოს 1984 წლის 20 აპრილის განაჩენით. ამავე დროს იგი ერთადერთი პარტია იყო, რომლის საქმიანობა აკრძალა ხელისუფლებამ იმავე განაჩენით. ასეთ პირობებში აშკარად მოქმედება პარტიის სახელით „პერესტროიკის" პირველ წლებში გამოაშკარავებდა იმ პირველად ორგანიზაციებსა და აგრეთვე ცალკეულ პირებს, რომლებითაც დიდად იყო დაინტერესებული უშიშროების კომიტეტი, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა პარტიისათვის გაუმართლებელი დანაკარგები.

2. 1987-89 წლებში, როცა ხდებოდა პოლიტიკური ორგანიზაციების გამოჯნა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო გადრმავებული, სრპ-ს ორგანიზაციებს და მის წევრებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა საერთო-ეროვნულ მოძრაობაში და ამასთანავე თავიდან აეცილებინა გარეგანი არასასიამოვნო შეხლა-შემოხლაში, რაც თან ახლავს ერთიანი მოძრაობის დაშლას სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებად, პარტიათა და დაჯგუფებათა იდეოლოგიურ თვითგამორკვევას.

3. სრპ-ს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე არასდროს მიუჩნეია თვითმიზნად. იგი მუდამ ემსახურებოდა და ემსახურება ქართველი ხალხის ინტერესებს, არ მიუმართავს თვითრეკლამისათვის და არასდეს ყოფილა პოპულისტური ორგანიზაცია. გარდა ამისა თავიდანვე ცხადი გახდა, რომ საქართველოში არსებული ვერცერ ი პოლიტიკური ძალა ობიექტურად ვერ შეძლებდა სრპ-ს ადგილის დაკავებას პოლიტიკურ სპექტრში. გადაწყდა პარტიის უმოქმედობის ილუზიით შეგვექმნა მაქსიმალური ხელშეწყობის აღმოსფერო რამდენიმე გარკვეული მიმართულებით მოქმედი პარტიული ძალებისათვის.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წესდება

საქართველოს რესპუბლიკური პარტია არის საქართველოს ზოგადეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დამყარებას, დაცვას და განვითარებას.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ), რომელიც შეიქმნა 1978 წლის მაისში ოპოზიციური პარტიის მოღვაწეობისათვის ფრიად არახელსაყრელი პირობების გამო იძულებული იყო ემოქმედნა ღრმა იატაკქვეშეთში, ხშირად განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში; იცვლებოდა ბრძოლის ტაქტიკა, მოქმედების ფორმები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის უმთავრესი ამოცანა — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. დევნის მიუხედავათ შენარჩუნებული იქნა რესპუბლიკელთა ძირითადი ბირთვი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მასობრივი ეტაპის ჩამოყალიბებაში, ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნაში, მაგრამ ძალაში რჩებოდა პარტიის კონსპირაციული სტატუსი, რაც უკრძალავდა პარტიის წევრებსა და ხელმძღვანელ ორგანოებს საჯაროდ ემოქმედათ პარტიის სახელით. ამრიგად, პარტიის ძველი კონსპირაციული წესდება ჩადაიქცა ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად პარტიის მთელი ძალით ამოქმედებისათვის. ახალმა პოლიტიკურმა რეალობებმა აუცილებელი გახადა საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა და მთლიანად ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისი ახალი წესდებისა და პროგრამის შემუშავება.

სრპ-ს საქმიანობა ეფუძნება ქართველი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ ტრადიციებს, პარტია ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო მორალის ნორმებით, ამასთანავე აღიარებს რა ყოველი ადამიანის უნივერსალურ უფლებას იყოს ბედნიერი და თავისუფალი. სრპ ცნობს და პატივს სცემს საქართველოს ყველა მოქალაქის სოციალურ და პოლიტიკურ ინტერესებს. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას დაუშვებლად მიაჩნია საზოგადოების რომელიმე კლასის ან ერის ვიწრო ჯგუფური ინტერესებისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭება.

სრპ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ორგანული ნაწილია და ამ მოძრაობის შემადგენელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობას აგებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის ფუძემდებლურ პრინციპზე, თანამშრომლობს მათთან, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, ნებისმიერ პარტიულ უთანხმოებაზე მაღლა აყენებს საერთო მიზნის ერთიანობას. არ დაუშვებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რომელიმე საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელის გამტეხ ქმედებას, ამავე დროს სრპ ინარჩუნებს მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას, არ შედის არცერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში.

სრპ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გარშემო საქართველოს მოსახლეობის მაქსიმალურ კონსოლიდაციას. სრპ-ს მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ერთნაირად აუცილებელია როგორც ქართველი ერის, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის თავისუფალი, მშვიდობიანი განვითარებისათვის, საქართველოს ყველა მოქალაქის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობისათვის; ამიტომ სრპ-ს ქართველი ერის მოკავშირედ მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისადმი კეთილგანწყობილი საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი და მოქალაქე, რომლებიც მზად არიან დაიცვან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მონაწილეობა მიიღონ ახალი დემოკრატიული საქართველოს შექმნაში.

ვინაიდან საქართველოს კომუნისტური პარტია სკკპ რეგიონული ორგანიზაციაა, სრპ ნდობით ვერ მოეკიდება მის მიერ დასახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს. მხოლოდ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ გამოიყვანონ საქართველო ღრმა კრიზისიდან, აღკვეთონ ქვეყნის საშინაო საქმეებში გარეშე ძალების უხეში ჩარევა, მიგვიყვანონ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.

სრპ აღიარებს იდეოლოგიურ პლურალიზმს, იდეური რწმენისა და სინდისის თავისუფლებას, არ ზღუდავს პარტიის წევრთა კონსტიტუციურ უფლებებს, არ ერევა მათ პირად საქმეებში; ამასთანავე სრპ ყველგან და ყოველგვარ ვითარებაში იცავს პარტიის წევრთა და მათი ოჯახების უფლებებს, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

## თავი I

## სრპ-ს წევრი, მისი უფლებები და მოვალეობები

1. სრპ-ს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის პროგრამას, წესდებას და იხდის საწევრო გადასახადს.

2. სრპ-ს წევრს უფლება აქვს:

ა/ აირჩიოს და არჩეულ იქნას ნებისმიერ პარტიულ ორგანოში.

ბ/ მიმართოს პარტიის მმართველ ორგანოებს წინადადებებით, განცხადებებით, საჩივრებით და მიიღოს მათზე პასუხი.

გ/ უარი განაცხადოს პარტიული დავალების შესრულებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება ადამიანურობას. უმაღლესი პარტიული ორგანოების წინაშე დააყენოს ამგვარი დავალებების მიმცემი პარტიის წევრებისა და პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი.

დ/ დაიცვას საკუთარი პოლიტიკური პოზიცია, შექმნას ან მონაწილეობა მიიღოს პარტიული ფრაქციის მუშაობაში.

ე/ მოითხოვოს და მიიღოს საგანგებო უფლებამოსილება პარტიული დავალების შესასრულებლად.

ვ/ მონაწილეობა მიიღოს იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ნებისმიერი საინიციატივო და სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება სრპ-ს პროგრამას და არაა მიმართული საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ.

ზ/ თავისუფლად გავიდეს პარტიის რიგებიდან. პარტიის რიგებიდან გასულ მოქალაქეს ეხსნება სრპ-ს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება, გარდა ამ წესდების მე-3 მუხლის ე/პუნქტით გათვალისწინებულისა.

3. სრპ-ს წევრი ვალდებულია:

ა/ დაიცვას საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ბ/ იბრძოლოს სრპ-ს გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სრპ-ს წევრებს პარტიული დავალების შესრულებაში.

გ/ ყველა ვითარებაში ყოველგვარი საშუალებით დაიცვას სრპ-ს წევრთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება.

დ/ არ დაუშვას სრპ-ს რიგებში შეუფერებელი პირების შეღწევა.

ე/ არ დაუშვას პარტიული საიდუმლოების გამჟღავნება.

ვ/ პატივი სცეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას. არ დაუშვას მათი დისკრედიტაცია.

ზ/ დაიცვას ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი დევნისა და შევიწროებისაგან, მხარი დაუჭიროს მათ პოზიტიური მიზნების განხორციელებაში მიუხედავად მათი ორგანიზაციული კუთვნილებისა.

4. სრპ-ს წევრად როგორც წესი მიიღებიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 21 წელი. პარტიაში მიღება ხდება მხოლოდ ინდივიდუალურად.

### სრპ-ში მიღების წესი:

ა/ მოქალაქის პარტიაში მისაღებად აუცილებელია მოქალაქის წერილობითი განცხადება, პარტიის ერთი წევრის მიერ მიცემული რეკომენდაცია, პირველადი ორგანიზაციის წევრთა 3/4-ის თანხმობა. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მონაცემები, დააწესოს გამოსაცდელი ვადა ან მოქალაქის პარტიასთან თანამშრომლობის სხვა დროებითი ფორმა.

ბ/ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში, მიიღებიან მხოლოდ ეროვნული კომიტეტის მიერ.

გ/ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნული კომიტეტის მიერ პარტიაში შეიძლება მიღებული იქნენ მოქალაქეები, რომელთაც არ შესრულებიათ 21 წელი, იმ პირობით, რომ ისინი არ შეიძლება შეადგენდნენ პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო რიცხვის 1/3-ზე მეტს.

5/ რეკომენდაციის მიმცემი პასუხს აგებს რეკომენდაციის ობიექტურობაზე.

6/ წესდებით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პარტიის წევრს ეკისრება პარტიული სასჯელი, რომლის ზომასაც განსაზღვრავს პირველადი ორგანიზაცია და ამტკიცებს რეგიონალური კომიტეტი. სასჯელის მაქსიმალური ზომაა პარტიიდან გარიცხვა.

7/ სრპ-ს წევრის პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს პირველადი ორგანიზაცია. გადაწყვეტილება მიიღება ხმების 2/3-ით. პარტიიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას ამტკიცებს რეგიონული კომიტეტი. რეგიონული კომიტეტის გადაწყვეტილების გაპროტესტება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში სააპელაციო საბჭოში.

8/ პარტიიდან გარიცხული მოქალაქეების აღდგენა შეიძლება გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს ერთი წლისა ეროვნული კონგრესის მიერ.

9. ეროვნული კონგრესის, ეროვნული კომიტეტის, საწესდებო, სააპელაციო და ეროვნული საბჭოს წევრთა გარიცხვის საკითხს წყვეტს მხოლოდ ეროვნული კონგრესი ხმების 3/4-ით.

10. სრპ-ს წევრები, რომლებმაც ხელყვეს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება და საკუთრება გაირიცხებიან პარტიის რიგებიდან.

## თავი II

## სრპ-ს ორგანიზაციის პრინციპები და შემადგენლობა

11. სრპ-ს ორგანიზაციული წყობა და საქმიანობა ეფუძნება დემოკრატიზმის პრინციპებს.

12. სრპ შედგება პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციებისაგან.

13. სრპ-ს რეგიონულ და პირველად ორგანიზაციებთან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ რესპუბლიკელთა მხარდამჭერი საინციატივო ჯგუფები, გაერთიანებები, ასოციაციები, რომელთა საქმიანობა სრპ-ს წესდებით რეგლამენტირებული არ არის.

14. პარტიას ხელმძღვანელობენ წარმომადგენლობითი დემოკრატიული ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ უმრავლესობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას და უმცირესობის უფლებების დაცვას.

15. პარტიის უმაღლესი ორგანოებია: კრება — პირველადი ორგანიზაციისათვის და ეროვნული კონგრესი — საქართველოს რესპუბლიკური პარტიისათვის.

16. სრპ-ს კონგრესზე შეიძლება მოხდეს პარტიული ფრაქციის ან ფრაქციების გაფორმება ეროვნული კონგრესის წევრთა არანაკლებ 1/5-ის მიერ. ფრაქციას უფლება აქვს მოითხოვოს პროპორციული წარმომადგენლობა პარტიის ყველა მმართველ ორგანოში, გარდა სააპელაციო საბჭოსი, ან შექმნას ოპოზიციური საბჭო, რომელიც ითვლება პარტიის ერთ-ერთ ოფიციალურ ორგანოდ; ფრაქციას უფლება აქვს მოიწვიოს ფრაქციის წევრთა კონგრესი, გაფორმდეს დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

17. ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებები სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანიზაციისა და ფრაქციისათვის; იმ შემთხვევაში, თუ ფრაქციები მიიღებენ პროპორციულ წარმომადგენლობას ეროვნულ კომიტეტში, მაშინ ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ფრაქციული კომიტეტისათვის.

18. სრპ-ს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება გამოტანილ იქნას საერთო პარტიულ რეფერენდუმზე. რეფერენდუმის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კონგრესი ან ეროვნული კომიტეტი რეგიონული ორგანიზაციების 1/3, ან პარტიის წევრთა 1/3 მოთხოვნით.

19. რეფერენდუმის შედეგი სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანოსათვის, ეროვნული კონგრესის ჩათვლით. იმავე საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა დღიდან რეფერენდუმის ჩატარებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი III
## სრპ-ს უმაღლესი ორგანოები

20. სრპ-ს უმაღლესი უმაღლესი ორგანოა ეროვნული კონგრესი. ეროვნული კონგრესის წევრებს ერთი წლის ვადით ირჩევენ პარტიის წევრები შიდაპარტიულ საარჩევნო უბნებში ფარული კენჭისყრით.

21. ეროვნული კონგრესი იკრიბება წელიწადში ორჯერ. რიგგარეშე კონგრესის მოწვევა ხდება ეროვნული კომიტეტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით ან რეგიონული ორგანიზაციების, ეროვნული კონგრესის წევრთა I/3 მოთხოვნით.

კონგრესზე წარმომადგენლობის ნორმას ამტკიცებს ეროვნული საბჭო.

22. ეროვნული კონგრესი ისმენს და ამტკიცებს ეროვნული კომიტეტის, საწესდებო, სააპელაციო და ოპოზიციური საბჭოების, აგრეთვე ნებისმიერი პარტიული ორგანოს ან სამსახურისანგარიშს. კონგრესის წევრთა ხმების 2/3-ით ამტკიცებს პარტიის პროგრამასა და წესდებას და ხმების იგივე რაოდენობით შეაქვს ცვლილებები მათში.

ეროვნული კონგრესი მუშაობს მის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით, ამტკიცებს კონგრესის წევრთა სტატუსს, პარტიის საარჩევნო პროგრამას, ირჩევს ეროვნულ კომიტეტს, საწესდებო და სააპელაციო საბჭოებს, განსაზღვრავს პარტიული ფრაქციების სტატუსს. განსაზღვრავს რეფერენდუმების ჩატარების წესს.

23. კონგრესებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობას განაგებს ეროვნული საბჭო, რომელშიც შედიან ეროვნული კომიტეტის წევრები, რეგიონული, სააპელაციო, საწესდებო და ოპოზიციური საბჭოების და ფრაქციათა თავმჯდომარეები. ეროვნული საბჭო მოიწვევა ორ თვეში ერთხელ, რიგგარეშე სხდომის მოწვევა ხდება ეროვნული კომიტეტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე ფრაქციის მოთხოვნით.

ეროვნული საბჭო ხელმძღვანელობს მის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით, უფლებამოსილია ხმების 3/4-ით ვადამდე გაიწვიოს ეროვნული კომიტეტის წევრი და ხმების 2/3-ით აირჩიოს ახალი წევრი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნულ საბჭოს შეუძლია ხმების 3/4-ით შეაჩეროს წესდების მოქმედება და გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა პარტიაში. ამ შემთხვევაში პარტიის ხელმძღვანელობა ეკისრება საბჭოს მიერ არჩეულ საგანგებო კომიტეტს.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ეროვნული საბჭოსშეკრება, საგანგებო კომიტეტის ფუნქციას კისრულობს ეროვნული კომიტეტი არა უმეტეს სამი თვის ვადით. ამის შემდეგ აუცილებლად მოიწვევა ეროვნული საბჭო, რომელზეც ასმენა ეროვნული კომიტეტისადმი ნდობის საკითხი. ეროვნული კომიტეტის წევრები კენჭისყრაში არ მონაწილეობენ. უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში ეროვნული კომიტეტი უნდა გადადგეს.

24. სრპ-ს უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოა ეროვნული კომიტეტი და იგი განსაზღვრავს პარტიის საქმიანობას ეროვნული საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში.

ეროვნული კომიტეტის სხდომები იმართება არანაკლებ ორისა თვეში.

ეროვნული კომიტეტი მუშაობს მის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით.

25. ეროვნული კომიტეტი ერთი წლის ვადით აირჩევა მორიგ კონგრესზე პირდაპირი, ფარული კენჭისყრით.

26. ეროვნული კომიტეტი ახორციელებს საერთო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, გამოსცემს ბეჭვდით ორგანოებს, წარმოადგენს პარტიას სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ხელმძღვანელობს პარტიის სამეურნეო და სხვა საქმიანობას.

27. სხდომებს შორის მუშაობის წარმართვისათვის ეროვნული კომიტეტი ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს მის თანაშემწეს.

28. თავმჯდომარე ამზადებს კომიტეტის მორიგ სხდომებს, წარმართავს საკადრო პოლიტიკას, ხელს აწერს ეროვნული კომიტეტის დადგენილებებს.

29. ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ეროვნული კომიტეტის წინაშე.

30. ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია

31. საწესდებო საბჭო არის სრპ-ს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო. მის ფუნქციებში შედის პარტიის წევრებისა და პარტიული ორგანოების მიერ წესდებისა და პარტიული დისციპლინის, არჩევნების, რეფერენდუმების, პარტიაში ახალი წევრების მიღებისა და პროცედურების ზუსტი დაცვისათვის თვალყურისდევნება. სრპ-ს ბიუჯეტისადმი კონტროლი.

32. საწესდებო საბჭო აირჩევა ეროვნულ კონგრესზე ორი წლის ვადით. მისი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ ეროვნულ კონგრესს.

33. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა პარტიული ორგანიზაციის წევრი, გარდა თავმჯდომარისა, რომელიც ამავე დროს ეროვნული საბჭოს წევრიც ხდება

34. საწესდებო საბჭო ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს საბჭოს სხდომებს და ხელმძღვანელობს საბჭოს მიერ შექმნილ კონტროლის აპარატს.

35. საწესდებო საბჭო მორიგ სხდომებს მართავს ორ თვეში ერთხელ, სხდომას ესწრებიან მხოლოდ საბჭოს წევრები. საბჭოს გარდა არავის არა აქვს უფლება დანიშნოს ან გადაიტანოს საბჭოს სხდომის დღე.

36. ეროვნული კონგრესი ერთი წლის ვადით ირჩევს სააპელაციო საბჭოს, რომელიც განიხილავს და წყვეტს სადავო საკითხებს წამოჭრილს პარტიის წევრებსა და პარტიულ ორგანოებს შორის. განმარტავს პარტიის წესდების მუხლებს, განიხილავს წინადადებებს პარტიის წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

37. სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაუშვებელია.

38. სააპელაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სხვა პარტიული ორგანოს წევრი, დაუშვებელია აგრეთვე მათი მონაწილეობა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სანინიციატივო და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, რომლებიც ორგანიზაციულად არ ექვემდებარებიან სრპ-ს.

39. სააპელაციო საბჭო ექვსი თვის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს ხდება ეროვნული საბჭოს წევრი. მისი ფუნქციები საწესდებო საბჭოს ფუნქციების იდენტურია.

40. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და მისი გაუქმება ან მოქმედების შეჩერება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ კონგრესს ხმების 2/3-ით.

41. სრპ-ს ფრაქციის წევრებმა შეიძლება აირჩიონ ოპოზიციური საბჭო, რომელიც განაგებს ფრაქციების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

42. ოპოზიციური საბჭოს არჩევის წესს, მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავენ მხოლოდ ფრაქციის წევრები.

43. ოპოზიციური საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის ეროვნული საბჭოს წევრი. ოპოზიციური საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოში ეკისრება იგივე ფუნქციები, რა ფუნქციებიც აკისრია ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს ეროვნულ კომიტეტში.

44. ოპოზიციური საბჭოს არჩევის გარდა სრპ-ს ფრაქციები სარგებლობენ ძალიან ხელმძღვანელ ორგანოებში პროპორციული წარმომადგენლობის უფლებით. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში ფრაქციული კომიტეტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

45. იმ შემთხვევაში, როცა ფრაქცია არ ეთანხმება ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაიწვიოს კომიტეტიდან მისი წარმომადგენლები და იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ ეროვნული კონგრესის მოწვევასთან.

46. პრინციპული უთანხმოების, ფრაქციის მიერ ეროვნული კონგრესის მუშაობაში უარის თქმის შემთხვევაში ფრაქციის თანხმობით იგი უნდა გამოცხადდეს სრპ-ს რიგებიდან გასულ ორგანიზაციად და ფრაქციის წევრებმა ერთი თვის ვადაში უნდა გამოხატონ პოზიცია სრპ-თან მათი დამოკიდებულების შესახებ.

## თავი IV
## სრპ-ს რეგიონალური ორგანიზაციები

47. სრპ-ს რეგიონული ორგანიზაციები იქმნებიან ეროვნული საბჭოს მიერ მხოლოდ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. დაუშვებელია რეგიონული ორგანიზაციების შექმნა დაბრიკებში, ქარხნებში, უწყებებში.

48. ერთ ტერიტორიულ რეგიონში მოქმედებს მხოლოდ ერთი რეგიონული ორგანიზაცია.

49. რეგიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა რეგიონული კონგრესი, რომელიც ირჩევს რეგიონულ კომიტეტს. რეგიონული კონგრესი და კომიტეტი რეგიონული ორგანიზაციისათვის ასრულებენ იგივე ფუნქციებს, როგორსაც - ეროვნული კომიტეტი სრპ-სათვის.

50. რეგიონული კონგრესი მოიწვევა წელიწადში ორჯერ. რიგგარეშე კონგრესის მოწვევის უფლება აქვთ ეროვნულ და რეგიონულ კომიტეტებს საკუთარი ინიციატივით ან პირველადი ორგანიზაციების ერთი მესამედის ან რეგულარული კონგრესის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

51. რეგიონულ კონგრესზე წარმომადგენლობის ნორმას აწესებს რეგიონალური საბჭო. რეგიონული კონგრესის წევრები აირჩევიან ერთი წლის ვადით პირდაპირი, ფარული კენჭისყრით.

52. რეგიონული კომიტეტი აირჩევა ერთი წლის ვადით პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. იგი ხელმძღვანელობს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგლამენტით.

53. რეგიონული კომიტეტი ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის ეროვნული საბჭოს წევრიც. ორჯელ ზედიზედ ერთი და იგივე პირის თავმჯდომარედ არჩევა დაუშვებელია.

54. რეგიონული კომიტეტის წევრები პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეებთან ერთად ქმნიან რეგიონულ საბჭოს, რომლის მუშაობის რეგლამენტსა და სტატუსს განსაზღვრავს რეგიონული კონგრესი.

## თავი V
## სრპ-ს პირველადი ორგანიზაციები

55. სრპ-ს პირველადი ორგანიზაცია იქმნება იქ, სადაც არის არანაკლებ პარტიის სამი წევრისა რეგიონული ან ეროვნული კომიტეტის ინიციატივით.

56. პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც ირჩევს პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს, ისმენს და ამტკიცებს მის ანგარიშს, წყვეტს პარტიაში ახალი წევრების მიღების, პარტიის წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობისა და პირველადი ორგანიზაციის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

57. საერთო კრება მოიწვევა არანაკლებ ერთისა თვეში. რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო ორგანიზაციის წევრთა I/3-ის ან რეგიონული კომიტეტის ან ეროვნული კომიტეტის მოთხოვნით.

58. პირველად ორგანიზაციაში, სადაც პარტიის 10 წევრზე ნაკლები ირიცხება, საერთო კრება ხელმძღვანელი ორგანოს ნაცვლად ირჩევს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეს.

59. პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე წარმართავს კრებებს, მიმდინარე საქმეებს, კავშირს ამყარებს რეგიონულ ორგანიზაციასთან და უზრუნველყოფს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა დროულად გაცნობასა და განმარტებას პირველადი ორგანიზაციის წევრებისათვის.

## თავი VI
## სრპ-ს ფულადი სახსრები

60. სრპ-ს ფულადი სახსრები შედგება საწევრო გადასახადისაგან, შემოსაწირავებისაგან და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან.

61. საწევრო გადასახადის ოდენობას სდგენს ეროვნული კონგრესი.

62. სრპ-ს ფულად სახსრებს განაგებს ეროვნული კომიტეტი.

## თავი VII
## სრპ-ს სიმბოლიკა

63. სრპ-ს სიმბოლოა ღარჯი ფერის დროშა. მასზედ გამოსახული შვიდი შვიდქიმიანი თეთრი ფერის ვარსკვლავით, რომლებიც ქმნიან ჯვრის გამოსახულებას.

64. სრპ-ს ემბლემაა თეთრი ხარი. სხვა ემბლემებს, ბეჭდებს, აღმებს და გერბებს ამტკიცებს ეროვნული საბჭო და ეროვნული კონგრესი.

65. სრპ-ს ცალკეულ ორგანიზაციებს, ასოციაციებს და სხვა წარმონაქმნებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი სიმბოლიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

დღეს უკვე ნათელია, რომ ეროვნული კომიტეტის მიერ დასახული პროგრამა შესრულებულია და პარტია მზად არის შეცვალოს ბრძოლის ტაქტიკა, თუმცა სრპ მთლიანად არასოდეს იტყვის უარს იმ უზარმაზარ გამოცდილებაზე, რომელიც მას დაუგროვდა თორმეტწლის იატაკქვეშა, ფარული ბრძოლის შედეგად.

უფრო კონკრეტულად პარტიის წარსულდამომავალისაქმიანობაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია, ერთი რამ კი უნდა ავღნიშნოთ: სრპ-ს არასოდეს მიუმართავს ბრძოლის იმგვარი მეთოდებისათვის, რომლებიც მიუღებელია ადამიანურობისა და ზნეობრიობის თვალსაზრისით, არასოდეს გარეულა და არც გაერევა საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ცნობილ პირებსა თუ ორგანიზაციებს შორის ატეხილ წვრილმან და მსხვილმან დავა-კინკლაობაში, არასდროს ბრძოლისა და თავდასხმის ობიექტად არ გაუხდია და არც გაიხდის არცერთ ეროვნულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, დაცინვისა და შეურაცხოფის საგნად არ გაუხდია არავინ, არც მტერი, არც მოყვარე, მიუხედავად იმისა, რომ მტრისა და მოყვარის მისამართი არასოდეს შეშლია და არც შეეშლება.

სრპ-ს პოლიტიკურ მიზნებზე, ბრძოლის მეთოდებსა და ფორმებზე, რესპუბლიკური მოძრაობის დასაყრდენ ძალებზე «რესპუბლიკისა» და «სამრეკლს» შემდგომ ნომრებში უფრო ვრცლად და კონკრეტულად გვექნება საუბარი, ჯერ-ჯერობით კი რამდენიმე მომენტებზე გავამახვილებდით ყურადღებას:

1. სრპ-მიზნად ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. იგი წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ სახელმწიფოთა-გაერთიანებაში დარჩენისა თუ შესვლისა, იქნება იგი არსებული იმპერიული «კავშირი» თუ მომავალი იმპერიული კონფედერაცია.

2. სრპ მიზნად ისახავს თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიაც გარანტირებული იქნება პიროვნების სრული თავისუფლება, მისგან გამომდინარე სამეურნეო საქმიანობის, პოლიტიკური ნების გამოვლინებისა და კულტურული მოღვაწეობის სრული თავისუფლებით.

3. მომავალი დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა უზრუნველყოფდეს ქართველი ერის მშვიდობიან, თავისუფალ განვითარებას, ეროვნულ თანხმობას საზოგადოების ყველა ფენასა და საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს შორის.

4. უნდა აღორძინდეს კავკასიის ხალხთა სისხლისმიერი ნათესაობის იდეა. კავკასიაში ყოველთვის იყო და იქნება პოლიტიკური წონასწორობა. მისი დარღვევა შესაძლებელი ხდებოდა და ხდება მხოლოდ გარეშე ძალების ჩარევის შედეგად. სრპ-ს ურთულეს პოლიტიკურ პრობლემად მიაჩნია ზოგადკავკასიური სულიერი ერთიანობის შეგნების აღდგენა და გარეშე ძალების ჩარევის აღკვეთა. რაც არ უნდა შეუძლებლად მოგვეჩვენოს დღეს ეს, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ შესაძლა უდიდესი ძალისხმევის ფასად, მაგრამ მაინც საბოლოდ კავკასიაშიც გაიმარჯვებდნენ ჯანსაღი ეროვნული ძალები, თავისუფლება და მშვიდობა კავკასიის მიწაზეც დაისადგურებს.

5. საქართველომ უნდა აღიდგინოს თავისი ადგილი ევროპის განვითარებულ ქვეყნებს შორის. საქართველო მუდამ იყო და იქნება ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, თუმცა მისი დაბრუნება მშობლიურ წიაღში თამბაღთა ხანგრძლივ და თავდადებულ ბრძოლას მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თვითოეული მისი წევრი იბრძოდა და იბრძვის იმისათვის, რათა ფიცყვეთ არავისი და ემსახურებდეთ არავის, თვინიერ დამბადებლისა».

ვახტანგ შონია

## არჩევნებში მონაწილეობა თუ ბოიკოტი?!

მოახლოებულმა არჩევნებმა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო: ერთნი ამტკიცებენ, რომ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ, რადგან მასში მონაწილეობა თავისთავად ნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების აღიარებას, მეორე მხარე კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ეროვნულ პლატფორმაზე მდგომ პარლამენტს შეუძლია აქტიურად იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. რადგან არსებობს ორი პოზიცია, ორი განსხვავებული აზრი და შესაბამისი არგუმენტაცია, იმისათვის, რომ გაერკვეთ დდევანდელ სიტუაციაში და სწორი ნაბიჯი გადავდგათ, აუცილებელია კიდევ ერთხელ გონების თვალი გადავავლოთ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განვლილ გზას. უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია იმ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების გარეშე, რომელნიც თავის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მიაკუთვნებენ. მაშასადამე, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ დაამთავრა თვითდამკვიდრების ხანა; საზოგადოებრივ ცნობერებაში უკვე დასრულდა ერთპარტიულობის პერიოდი, ანუ მრავალპარტიულობა ფაქტად იქცა და ყველაზე მთავარი-ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ თამამი, ყველას გასაგონად განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი არის საქართველოს სრული, ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა

ეროვნულმა მოძრაობამ შეძლო ტაბუ მოეხსნა ქართველი ერის საუკეთესო ოცნებისათვის და იგი საზოგადოების კუთვნილებად იქცია. ყოველივე ეს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ნათელია, მაგრამ ეთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა სისხლის და სულიერი დაძაბვის ფასად მივაღწიეთ წარმატებებს და როდესაც ვამბობთ, რომ ეროვნული მოძრაობა შევიდა ახალ ფაზაში, ძირითადად ვგულისხმობთ ბრძოლის ახალი მეთოდებისა და ხერხების ძიებას და მათ ჩაყენებას ერის სამსახურში. ეროვნულმა მოძრაობამ თავისი არსებობის მანძილზე გამოიყენა თითქმის ყველა მეთოდი, გარდა პარლამენტარისა და ეროვნული დაუმორჩილებლობისა. მართალია, ამით გარკვეულ შედეგებს მივაღწიეთ, მაგრამ ახლა არავისათვის, და პირველ რიგში ხელისუფალთათვის არც შიმშილობა და არც გაფიცვა მოულოდნელობას აღარ წარმოადგენს, უფრო მეტიც, ხელისუფლება ახერხებს გარკვეულწილად კიდეც დაარეგულიროს ამგვარი აქციები; ხოლო საზოგადოების რეაქცია, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, არაერთმნიშვნელოვანი გახდა და თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ვერ მოახერხა ერთის მხრივ ბრძოლის მეთოდების შეცვლა-განახლება, მეორეს მხრივ კი იმ პრობლემების, ძირითადად სოციალურის, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო ეროვნული მოძრაობის ყურადღების არეში ვერ მოხვდნენ, მაშინ ჩვენ საკმაოდ მძიმე კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ოპოზიციის მონაწილეობა. არჩევნებში, მიუხედავად მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა, მრავალმხრივია საყურადღებო: ჯერ ერთი, თუ არჩევნები კანონის დაცვით ჩატარდა, იმისდამიხედვით, როგორი იქნება ოპოზიციონერთა შემადგენლობა და რაოდენობა, ჩვენ ფაქტიურად შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფე; მეორეც, ფართო მასებისათვის უკანასკნელი 69 წლის მანძილზე, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც იძულებულია არჩევანი გააკეთოს, და ამით პირველი ნაბიჯი გადადგას პოლიტიზაციისკენ, თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ოფიციოზი ყოველნაირად შეეცდება მისთვის სასურველი კანდიდატების გაყვანას და თუ ვერ მოახერხა, მოსალოდნელია არჩევნებიც კი ჩაშალოს; ამრიგად, ოპოზიციის მონაწილეობა არჩევნებში ფაქტიურად ხელს შეუწყობს საზოგადოების პოლიტიზაციას და მოამზადებს მას დემოკრატიისათვის.

სულ სხვა საკითხია, თუ რეალურად რის გაკეთებას შეძლებს ახლადარჩეული პარლამენტი; ვფიქრობთ, რომ მიუხედავად იმისა თუ როგორი იქნება ძალთა განაწილება, იგი ჯერ-ჯერობით ვერ შეძლებს გადაწყვიტოს ყველაზე მთავარი- აღადგინოს საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ჯერ-ჯერობითო, ვამბობთ, იმიტომ რომ პოლიტიკური ვითარება, როგორც საბჭოთა კავშირში ასევე მთელ მსოფლიოში საკმაოდ ჩქარა იცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკმაოდ ცალსახად გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით, ეს მაინც არ ნიშნავს იმათი პოზიციის სიმცდარეს, ვინც ბოიკოტს უჭერს მხარს, რადგან მიგვაჩნია, რომ თუ პარლამენტში მოლეაწე ოპოზიციას არექნა გარედან მხარდაჭერა და პირიქით, შეუძლებელი იქნება ეროვნული მოძრაობის შემდგომი წინსვლა.

ვახტანგ ძაბირაძე

## ყაზარმული სოციალიზმის დინოზავრები

ამ ბოლო დროს, მსოფლიო ცივილიზაციისა და პროგრესის ავთენტიანი წარმონაქმნები – კომუნისტური პარტიები გაპიზვად მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დღეს, ბოლშევიკური სტრუქტურის დამბადებელ დედარუსეთსაც დიდი საფრთხე შეექმნა მისგან. საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადაგვარება და სიმახინჯე მიწიერ ჩარჩოებს გადასცილდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ საბჭოთა იმპერიაში დატყვევებულ ერებს. შექმნილი ჯოჯოხეთიდან თავდახსნის მიზნით დაიწყო ე.წ. "პერესტროიკა", რამაც საშუალება უნდა მისცეს რუსეთის ჯანსაღ ძალებს, რამენაირად იხსნან თავისი ქვეყანა.

მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალყურს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს. როგორც ამბობენ, იქიდან რუსულ ტანკებს და მის აბრდილებს თან მიპყვეს ძალადობა და საბჭოური სოციალიზმი – ბერლინის კედლის ნანგრევები სუვენირებად იყიდება; დაემხო ჩაუშესკუს და სხვათა სისხლიანი რეჟიმები; პატივსა ჰყრიან და სამარადაში ამძევებენ მმართველ კომუნისტთა ხროვებს; ალალოდ აუქმებენ კომუნისტურ პარტიებს; აქვეყნებენ საიდუმლო პოლიციის წევრთა სიებს და ა.შ. ასე თანდათარით იკურნება აღმოსავლეთ ევროპა მომაკვდინებელი მეტასტაზებისაგან. გარკვეული დადებითი მოვლენები შეინიშნება კომუნიზმის ეპიცენტრშიც. მხედველობაში მაქვს 5-7 თებერვალს მოსკოვში გამართული სკკპ-ს პლენუმის დასკვნები მრავალპარტიულობასა და საპრეზიდენტო მმართველობაზე. ნაკლია, რომ საბჭოთა იმპერიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კომპარტიათა მსოფლიო სისტემაში უკვე შესამჩნევია უხეირო შმუშვნა და ცდები – კომუნისტურ პარტიათა კვლავ ძველ სოციალ-დემოკრატიულ საშოში ჩაბრუნებისა, ე.ი. მათი სოციალ-დემოკრატიულ პარტიებად გადაქცევისა. როგორ გაართმევენ ამას თავს კომუნისტები, ეს სხვა საკითხია, ერთი რამ კი ცხადია – სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა არსებობისათვის ნიადაგი სსრკ-ში, აღმოსავლეთ ევროპასა და სხვა დანარჩენ მსოფლიოში არაერთგვაროვანია. თუ აღნიშნული პარტიის დამკვიდრება რუსეთში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპაშიც გარკვეულ პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს, ამას ვერ ვიტყვით საბჭოთა კომპარტიის "ნახლებნიკ" მსოფლიო კომპარტიებზე, რადგან მათ ამგვარი გარდასახვის საშუალებაც არ გააჩნიათ. ჯერ ერთი, მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულთა ვავლენაც კი ამ ბოლო წლებში თითქმის ნულამდე დაეცა, და მეორეც – ამ ქვეყნებში უკვე ფუნქციონირებენ ამავე სახელწოდების ძლიერი, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული პარტიები. დიახ, მას შემდეგ, რაც მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა პირველებმა იზეიმეს სახელმწიფო ხელისუფლების საათავეში მისვლა, ბევრი რამ შეიცვალა. მუშურ-მარქსისტული პარტიები მრავალ ქვეყანაში ნამდვილ ეროვნულ პარტიებად იქცნენ, რომელთაც წარსულიდან მხოლოდ სახელწოდებაღა შემორჩა.

როგორც ცნობილია, ახლახანს საქართველოშიც აღდგა სოციალ-დემოკრატიული პარტია, გამოქვეყნდა მათი პროგრამაც. აქვე სხვათა შორის მინდა შევნიშნო, რომ 1918-21 წლებში მოპოვებული წარმატების მიუხედავად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერის ხსოვნაში დიდი სახელი და პატივი არ დარჩენიათ. ალბათ ისტორია მათ ვერ დაუვიწყებს მარქსიზმის თავდავიწყებულ პროპაგანდას; წითელი, პარტიული დროშის ფრიალს, ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლობასა და პოლიტიკურ წინდაუხედავობას, თავისუფლების წლებშიც კი რუსეთის სხეპებისაკენ გამუდმებულ, იმედიან მზერას – რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკთაგან ჩახოცილ თანაპარტიელთა პოსვლისა და კვლავ ერთად ყოფნის იმედს. რას მოიმოქმედებენ საქართველოში ახალი სოციალ-დემოკრატები, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, რა თქმა უნდა, დემოკრატიულ საქართველოში ერის ინტერესების მსახურად არსებობის უფლება ყველა პარტიას უნდა მიეცეს, მაგრამ ასეთ უფლებას უნდა ანიჭებდეს არა რომელიმე პარტია ან პიროვნება, არამედ ქართველი ერის ნების გამომხატველი კონსტიტუცია.

ასეა თუ ისე, დღეს საბჭოთა იმპერიაში პროცესები იმგვარად ვითარდება, რომ ვინძლო კვლავ 1917 წლის თებერვალს თავუბრუნდეთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვაო, – ჩვენმა სისხლიანმა და უკუღმართმა გამოცდილებამ იმ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნა, რომ სოციალიზმი – ეს მეტად გრძელი და მტანჯველი გზაა კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმამდე, ან ზოგჯერ – ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე.

კახაბერ კახაძე

სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ შონია (რედაქტორი, ტელ. 71-01-00), ვახტანგ ძაბირაძე (ტელ. 36-71-84), ფრიდონ ჯაჯანიძე, დავით ბერძენიშვილი.